პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

20 აგვისტო ოთხშაბათი 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი • № 193 (14493)

ლენინურ ჟურნალის ვარსკვლავ 100

გეგმა 12 დღით აღრე

თბილისი. („კომუნისტის“ კორ.). ქართულ ჩაის თავისი არომატითა და სასიამოვნო სურნელებით მრავალგზის დაუმსახურებია საერთაშორისო აღიარება. მას მაღალ შეფასებას ძძლევდნენ სპეციალისტები. ქართული ჩაე ესოდენ დიდი აღიარება ბევრად ხარის დამოკიდებული ჩვენი დედაქალაქის ჩაის საწონი ფაბრიკის ნორმისმოყვარე კოლექტივზე.

ფაბრიკის კოლექტივი (დირექტორი მ. სარკველაძე), რომელმაც რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა მოიპოვა კომუნისტური შრომის საწარმოს სპეციალური წოდება, ხუთწლედის მეოთხე წელს ახალ-ახალ შრომითს წარმატებებს აღწევს. საწარმოს კოლექტივმა ვადამდე — 20 აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეასრულა პროდუქციის რეალიზაციის რვა თვის გეგმა და მომხმარებელს 39 მილიონ 189 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდა.

საწარმოში დიდი ყურადღება ექცევა ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვას. წელს აქ რვა რაციონალიზატორული წინადადება დაინერგა, რამაც ფაბრიკას 7.670 მანეთი ეკონომია მისცა.

გრანიტის ძვირფასი ქვა

ჟუთაისი. (საკ. კორ.). ქვის დამმუშავებელი ქარხანა, რომელიც ხუთწლედის პირმშოა, სულ უფრო ზრდის გრანიტის მოსაპირკეთებელი ფილების გამოშვებას.

ქარხნის კოლექტივმა ვადამდე შეასრულა მიმდინარე წლის შვიდ თვის ყველა დაკვეთა და მშენებლებს 4.902 კვადრატულ მეტრი გრანიტის ფილა გაუგზავნა. აქ პროდუქციის რეალიზაციის გეგმას 58 ათასი მანეთით გადაამეტეს, წლის მოგებისას — 105 ათასი მანეთით.

ამ დღეებში ქარხანაში ამუშავდა მარმარილოს ნამცეცების დამამზადებელი საამქრო, რომელიც ყოველდღიურად 400 ტონაზე მეტ ძვირფას სამშენებლო მასალას გამოუშვებს.

სოფლის მეურნეობის საწარმოთა კოლექტივების წარმატება

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის სამრეწველო საწარმოებმა და ორგანიზაციებმა ფართოდ გაშალეს სოციალისტური შეჯიბრება ხუთწლედის მეოთხე წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის და, ასრულებენ რა ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთვის აღსანიშნავად ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებებს, მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვეს მეორე კვარტალში.

სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს კოლეგიამ და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმმა სრულიად საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნეს **საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „ალაზანმშენის“ ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს,** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება **„საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილებისა** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს **პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის პურის პროდუქტების ბაზის კოლექტივები.**

გაიმართა საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკისა“ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის, კოლეგიათა სხდომები საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმთან ერთად. მათ განიხილეს რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მეოთხე დამზადების სახელმწიფო კომიტეტისა და სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია **საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის თბილისის № 8 წისქვილ-კომბინატის კოლექტივმა.**

მთელმა რიგმა სასოფლო-სამეურნეო სამრეწველო საწარმოთა და ორგანიზაციათა კოლექტივებმა მეორე კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით გაიმარჯვეს რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წთელი დროშებითა და პირველი ფულადი პრემიებით დაჯილდოებული არიან საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს „ალაზანმშენის“ ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება **„საქსოფლტექნიკის“ თელავის განყოფილების** და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს **პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის პურის პროდუქტების ბაზის** კოლექტივები.

მეორე ფულადი პრემია დაიმსახურა „საქსოფლტექნიკის“ **წყალტუბოს განყოფილების** კოლექტივმა.

წნორის პურის მიმღები პუნქტის კოლექტივს მიენიჭა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პურის პროდუქტებისა და კომბინირებული საკვების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტისა და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და დამზადების მუშა-მოსამსახურეთა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია.

მეორე ფულადი პრემია მოიპოვა **ცხინვალის პურის მიმღები პუნქტის** კოლექტივმა, მესამე ფულადი პრემია — **მარნეულის პურის მიმღები პუნქტის** კოლექტივმა.

აღინიშნა **ბორჯომის პურის მიმღები პუნქტის საგარეჯოს, კასპისა და ბადიაურის პურის მიმღები პუნქტების** კოლექტივების კარგი მუშაობა. (საქდესი).

მოსწონთ მათი ნახელავი

ბათუმი. (საკ. კორ.). ახალ შრომითს წარმატებებს აღწევენ ბათუმელი მეფეხსაცმელეები. განვლილ 7 თვეში მათ უკვე დაამზადეს 12 ათასი წყვილით მეტი ნაწარმი, ვიდრე გეგმა ითვალისწინებდა. ფაბრიკა ამჟამად ქალისა და მამაკაცის ორმოცი მოდელის ფეხსაცმელს უშვებს. საწარმოს პროდუქცია ჩვენს ქვეყნის ყველა რესპუბლიკაში იგზავნება. აქ სულ უფრო მეტ დაკვეთებს იღებენ. ეს იმით აიხსნება, რომ ბოლო დროს საგრძნობლად ამაღლდა ბათუმელ მეფეხსაცმელეთა ნახელავის ხარისხი. ბათუმური თეხსაცმელი ფართოდ იქნება წარმოდგენილი მსოფლიო გამოფენაზე — „ფეხსაცმელი-69“, რომელიც სექტემბერში მოსკოვში გაიხსნება.

მადნის სარტყელი შორს მიდის

საქართველოს შახტმშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტებმა ოთხჯერ გადასინჯეს მადნეულში მშენებარე სამთო გამამდიდრებელი კომბინატის პროექტი. ეს საწარმო გადაამუშავებს აქ აღმოჩენილ სპილენძს, თუთიასა და ტყვიას. საქმე ის არის, რომ თითქმის 20 წლის წინათ აქ აღმოჩენილი მადნის სარტყელები თავდაპირველად უმნიშვნელო ჩანდა და, ბუნებრივია, კომბინატის სიმძლავრეც შესაბამისად იყო დაგეგმილი. მაგრამ შემდგომმა სადაზვერვო სამუშაოებმა აუცილებელი გახადა სპეციალისტებს გადაესინჯათ პროექტი და გაეორკეცებინათ საწარმოო სიმძლავრე. მალე პროექტი კვლავ შეიცვალა იმასთან დაკავშირებით, რომ აღმოაჩინეს მადნის ახალი მდიდარი მარაგი. სპეციალისტებმა კვლავ გაორკეცეს კომბინატის სიმძლავრე.

ამას წინათ გეოლოგებმა აღმოაჩინეს, რომ მადნის ველი უფრო შორს მიდის, ვიდრე ფიქრობდნენ. მადნეულის მთები და მათი შემაერთებელი უნაგირა შეიცავენ მდიდარ საბადოებს, კერძოდ, სპილენძის, თუთიის, ტყვიის უფრო ადრე ან ბორ-ცოტა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მეკარტოფილეებმა. გვყავს ცალკეული მოწინავე მეკარტოფილეები. ხულგუდილი ს. პოღოსიანი შარშან 0,20 ჰექტარ ნათესს უვლიდა. ჰექტარზე გადაანგარიშებით 300 ცენტნერი კარტოფილი მიიღო, ბურნაშელმა გ. კოჩოიანმა — 350 ცენტნერი, ასეთ მეკარტოფილე რაიონში ბევრია. ისინი წელსაც უხვ მოსავალს მოელიან.

რაიონის მეკარტოფილეები სიტყვას საქმედ აქცევენ, წარმატებებით შეხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს.

ᲐᲮᲐᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ 11.500 ᲢᲝᲜᲐ

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘ ᲒᲐᲜᲗᲥᲛᲣᲚᲘᲐ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲣᲚᲗᲐᲜ. ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲛᲐᲢᲔᲣᲚᲝᲑᲡ ᲙᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲑᲐ. ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲮᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲓᲦᲔ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲗ ᲡᲐᲥᲣᲗᲐᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲝᲤᲘᲚᲘᲗ

ᲐᲮᲐᲚᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ რაიონი განთქმულია კარტოფილის სიუხვით. ყოველწლიურად მატულობს კარტოფილის წარმოება. რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების საკმაო ნაწილი მეკარტოფილეობიდან დიდძალ შემოსავალს იღებს.

შარშან ჩვენმა მეკარტოფილეებმა უამინდობის მიუხედავად სათანადოდ მოუარეს ნათესებს და მშრომელებს მისცეს 8.000 ტონა კარტოფილი.

დღის წესრიგში დადგა საკითხი — საქართველოს მშრომელები უზრუნველყოფთ საკუთარი წარმოების კარტოფილით. ეს იმას ნიშნავს, რომ აქამდე რასაც ვაკეთებდით, საკმაო არ არის, საჭიროა მეტი შრომა, რეზერვების გამოძებნა. ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ საპატიო წვლილი შეეტანოთ საქართველოს მშრომელთა საკუთარი წარმოების კარტოფილით უზრუნველყოფის საქმეში.

გვესაუბრება საქართველოს კპ ახალქალაქის რაიკომის პირველი მდივანი

ს. პეტროსიანი.

◆

წელს ახალქალაქის რაიონში კარტოფილი ასეულობით ჰექტარზეა დათესილი. სახელმწიფოს ეგეგმით 11.000 ტონა კარტოფილი უნდა მივყიდოთ. მიმდინარე წელსაც მძიმე ბუნებრივი პირობები იყო, მაგრამ ჩვენმა მეკარტოფილეებმა უამინდობას მოწინავეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევების წარმოებაში დანერგვა დაუპირისპირეს. ამან კეთილი შედეგი გამოიღო. ნათესებს კარგი პირი უჩანს. გადავწყვიტეთ წელს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 11.000 ტონისა სახელმწიფოს მივყიდოთ 11.500 ტონაზე მეტი კარტოფილი. წინა წლებისაგან განსხვავებით ჩვენი მეკარტოფილეები კარტოფილის ნათესებს წელს სანიმუშოდ უვლიდნენ, უამინდობით გამოწვეულ სიძნელეებს სძლევდნენ და ახლა უხვ მოსავალს მოელიან, ემზადებიან კარტოფილის ამოსაღებად.

კარტოფილის უხვი მოსავლით ბოლო წლებში სახელი გაითქვეს ბურნაშეთის, ღადოს, კორნის კოლმეურნეობებისა და ვაჩიანის მეხორცეობა-მერძევეობის საბჭოთა მეურნეობის მეკარტოფილეებმა. გვყავს ცალკეული მოწინავე მეკარტოფილეები. ხულგუდილი ს. პოღოსიანი შარშან 0,20 ჰექტარ ნათესს უვლიდა. ჰექტარზე გადაანგარიშებით 300 ცენტნერი კარტოფილი მიიღო, ბურნაშელმა გ. კოჩოიანმა — 350 ცენტნერი, ასეთი მეკარტოფილე რაიონში ბევრია. ისინი წელსაც უხვ მოსავალს მოელიან.

რაიონის მეკარტოფილეები სიტყვას საქმედ აქცევენ, წარმატებებით შეხვდებიან ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს.

ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲡ ᲕᲔᲜᲐᲮᲨᲘ ᲢᲣᲯᲝᲑᲣᲚᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲔᲚ ᲝᲠᲞᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲣᲮᲣᲪᲣᲩᲝ ᲬᲘᲗᲠᲘ — 80 ᲬᲚᲘᲡ Ი. ᲯᲐᲗᲐᲛᲫᲔ. ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲩᲘᲜᲘᲚᲘ ᲜᲐᲮᲔᲚᲐᲕᲘ ᲞᲘᲢᲠᲐᲠᲘ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲘᲓᲐᲜ ᲘᲒᲘ 80 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲣᲤᲠᲝᲓ ᲛᲘᲘᲦᲝ ᲛᲘᲬᲘᲡᲥᲕᲔᲨᲐ ᲬᲧᲚᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲔᲓᲔ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ. ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲮᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ „ᲡᲐᲥᲡᲝᲤᲚᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ“, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ. ᲛᲐᲗ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲔᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲔ�გᲛᲘᲡ ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐ, ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲠᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲛᲬᲘᲜᲝ Ვ. Ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲜᲐᲙᲘᲡᲠᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲓᲐᲬᲧᲝᲗ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲔᲠᲘᲒᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ ᲒᲘᲠᲘᲚᲔ ᲯᲘᲠᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐᲒᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝ ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲫᲘᲛᲔ ᲓᲐ ᲮᲐᲜ�გᲠᲫᲚᲘᲕᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚ-ᲛᲐᲘᲝᲠᲘ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ ᲒᲘᲠᲘᲚᲔ ᲯᲘᲠᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲡᲐᲤᲐᲑᲠᲘᲙᲝ ᲛᲐᲠᲙᲐ — ᲛᲢᲙᲘᲪᲔ ᲮᲔᲚᲨᲘ

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔ. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივი განუხრელად აუმჯობესებს პროდუქციის ხარისხს. საფაბრიკო მარკის ღირსებისათვის აქაურ ფეიერართა თავდადებულ შრომაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის შვიდ თვეში პირველი ხარისხის ნაგრეხი აბრეშუმის ძაფის გამოშვება გეგმასთან შედარებით 9,7 პროცენტით გაიზარდა, ხოლო ხამი აბრეშუმის ძაფისა — 3,1 პროცენტით.

ფეიერმა განვლილ პერიოდში გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 2.758 კილოგრამი აბრეშუმის ძაფი, ამასთან 3,1 პროცენტით აამაღლეს შრომის ნაყოფიერება და თვითღირებულების შემცირებით ათასობით მანეთი დაზოგეს. პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმას აქ 313 ათასი მანეთით გადაჭარბეს. ლენინურ შრომითს ვახტზე განსაკუთრებით კარგ მაჩვენებლებს აღწევს ძაფსაღები საამქროს კოლექტივი, რომელსაც რ. ქუთათელაძე უძღვება.

ᲐᲕᲘᲐᲢᲝᲠᲗᲐ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲡ ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, 18 აგვისტო. (საკდესი). საბჭოთა ხალხი 37-ჯერ აღნიშნავს ავიატორთა დღესასწაულს. დღეს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა დედაქალაქის საზოგადოებრიობის საზეიმო კრება, მიძღვნილი სსრ კავშირის საჰაერო ფლოტის დღესასწაულთან.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან სამოქალაქო ავიაციის მინისტრი, ავიაციის მარშალი ე. ფ. ლოგანოვი, საავიაციო მრეწველობის მინისტრი პ. ვ. დემენტიევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილეები საბჭოთა კავშირის მარშალები ი. ი. იაკუბოვსკი და მ. ვ. ზახაროვი და სხვები.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით აირჩიეს საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილემ, სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალმა, საბჭოთა კავშირის გმირმა ავიაციის მარშალმა პ. ს. კუტახოვმა თავის გამოსვლაში ილაპარაკა საბჭოთა ავიაციის სახელოვან ისტორიაზე და აღუთქვა სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და საბჭოთა მთავრობას, რომ ავიატორი მეომრები, ისევე როგორც საბჭოთა შეიარაღებული ძალების სხვა გვარეობათა ჯარების წარმომადგენლები, მუდამ მზად არიან შეასრულონ თავიანთი ინტერნაციონალური მოვალეობა სოციალიზმისა და მშვიდობის საკეთილდღეოდ.

საზეიმო კრების მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს მისასალმებელი წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტისადმი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსადმი.

ᲒᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲘ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ ᲒᲐᲓᲐᲕᲐ

ᲑᲐᲥᲣ. დაიწყო ირან-სსრ კავშირის გაზსადენის 220 კილომეტრიანი საბჭოთა უბნის მშენებლობა, მშენებლები შეუდგნენ მილების შედუღებას.

გაზსადენის ტრასაზე, რომელიც გადაკვეთს საბჭოთა კავშირ-ირანის საზღვარს ქალაქ ასტარის რაიონში, იწყება პირველი ტრანშეების გაყვანა. (საკდესი).

ᲐᲜᲝᲛᲐᲚᲘᲘᲡ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲔᲠᲗᲘ ᲛᲐᲦᲐᲠᲝ

ᲙᲣᲠᲡᲚᲘ; იმ რაიონში, სადაც 26 წლის წინათ გაიმართა პრონტოროვის ცნობილი სატანკო ბრძოლა, აღმოაჩინეს რკინის მადნის იაკოვლევის საბადო, რომლის მარაგი დაახლოებით მილიარდნახევარი ტონაა. აქ, ტანკისტთა ძეგლის მახლობლად შეარჩიეს მოედანი, სადაც აშენდება კურსკის მაგნიტური ანომალიის კიდეზე ერთი მაღარო.

ადგილობრივი მადანი ძალიან მაღალი ხარისხისაა.

ახალი საწარმოს პროექტის მთავარმა ინჟინერმა ს. ნ. ლიხაჩოვმა საკდესს კორესპონდენტს უთხრა, რომ მაღაროს მშენებლებსა და მაღაროელებს მოელით ნამდვილი ბრძოლა მიწისქვეშა წყლების წინააღმდეგ, რომელთა ქვეშ 550 მეტრ სიღრმეზე განლაგებულია მადანი. (საკდესი).



ᲣᲚᲘᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘ. ᲕᲝᲚᲒᲘᲡ ᲜᲐᲞᲘᲠᲔᲑᲖᲔ ᲨᲝᲠᲘᲝᲓᲐᲜᲕᲔ ᲩᲐᲜᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ — ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲑᲔᲚᲐᲓᲘᲡ ᲛᲨᲝᲑᲚᲘᲣᲠ ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ. ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲪᲓᲘᲚᲝᲑᲔᲜ ᲨᲘᲛᲓᲘᲡᲐᲜᲕᲔ ᲩᲐᲜᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.
ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲮᲔᲓᲘ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲓᲐᲜ. ᲤᲝᲢᲝ Ა. ᲠᲝᲖᲘᲜᲘᲡᲐᲡ (საკდესის ფოტოქრონიკა).

ᲚᲐᲗᲘᲜᲣᲠᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲛᲬᲔᲠᲚᲗᲐ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ

ᲡᲐᲜᲢᲘᲐ�გᲝ, 19 აგვისტო. (საკდესი). გუშინ ჩილეს „დედაქალაქში“ გაიხსნა ლათინურამერიკელ მწერალთა შეხვედრა. შეხვედრაში მონაწილეობენ კონტინენტის ცნობილი მწერლები და პოეტები, მათ შორის პაბლო ნერუდა, ერნესტო საბატო, მანუელ რიხასი, ნიკანორ პარა და სხვები.

მეთვალყურეს ესწრება საბჭოთა მწერლების დელეგაცია.

ამ წარმომადგენლობის ფორუმზე განიხილავენ საკითხებს, რომლებიც შეეხება განვითარებადს ქვეყნებში მწერლის მდგომარეობას, აგრეთვე თანამედროვე ლათინურამერიკული ლიტერატურის მდგომარეობისა და ლათინური ამერიკის მწერალთა გაერთიანების შექმნის საკითხებს.

□

ᲒᲛᲝᲒᲔᲜ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲞᲠᲝᲕᲝᲙᲐᲪᲘᲔᲑᲡ

ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐ, 19 აგვისტო. (საკდესი). გაზეთი „უოლნუ ვოლნოსტი“ გმობს ჩინეთის ხელისუფალთა პროვოკაციებს საბჭოთა საზღვრებზე. პეკინის ხელმძღვანელები, წერს გაზეთი, კიდევ უფრო ამწვავებენ თავიანთი პოლიტიკის ანტისაბჭოთა კურსს. შეიარაღებული პროვოკაციები ხასაზღვრო რაიონებში ამ პოლიტიკის განსაკუთრებით საშიში იარაღია.

ჩინეთის ხელმძღვანელები განუწყვეტლივ აღვივებენ ანტისაბჭოურ ისტერიას ჩინეთის საზოგადოებაში, ხაზს უსვამს „უოლნუ ვოლნოსტი“.

ეს იმისათვის კეთდება, რომ ჩინეთის საზოგადოების ყურადღება ჩამოაშორონ იმ საშინაო სიძნელეებს, რომლებსაც ახლა ჩინეთი განიცდის „კულტურული რევოლუციის“ შედეგად. მისი „ტროიმფისა“ და მაო ძე-დუნის „დიდი გამარჯვების“ შესახებ მოელი ღრანცელის მიუხედავად, სამხედრო-ბიუროკრატიული რეჟიმი აწყდება მუდმივ წინააღმდეგობას, რომელიც სხვადასხვა ფორმას იღებს.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲘᲡ ᲢᲣᲠᲜᲔ ᲐᲖᲘᲐᲨᲘ

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ, 19 აგვისტო. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მინისტრი ს. რუზორი გუშინ გაემგზავრა აზიის ქვეყნებში. როგორც პენტაგონის ოფიციალურ განცხადებაშია აღნიშნული, იგი ჩავა ჰავაის კუნძულებზე, გუამში, სამხრეთ ვიეტნამში, სამხრეთ კორეასა და იაპონიაში.

რუზორის მოგზაურობის ოფიციალური მიზანია გამოარკვიოს ეგრეთწოდებული „სპეციალური დანიშნულების რაზმების („მწვანე ბერეტების“) 8 ოფიცრის საქმის გარემოებანი“.

მაგრამ მეთვალყურეებს არ სჯერათ

ᲘᲢ

ლ. სვობოდას სიტყვა მოსავლის ზეიმზე

პრაღა, 18 აგვისტო. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ლ. სვობოდამ გუშინ სიტყვა წარმოთქვა სამხრეთ მორავიის ოლქის ქალაქ ბრეცლავში მოსავლის რაოდენობა დღისასწაულზე, იუწყება ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო. მან აღნიშნა, რომ ჩეხოსლოვაკია მაღე იდღესასწაულებს სლოვაკიის ეროვნული აჯანყებისა და საბჭოთა არმიის მიერ ქვეყნის განთავისუფლების 25 წლისთავს.

ჩვენ, უფროსი და საშუალო თაობის წარმომადგენლებს, თქვა მან, კეთრგად გვახსოვს ის საშინელება და ტანჯვა, რაც ჩეხოსლოვაკიის ხალხებს მოუტანა ფაშისტურმა ოკუპაციამ. მისი მიზანი იყო ჩვენი ხალხების თანდათანობითი მოსპობა. საბჭოთა კავშირი და მისი ძლევამოსილი არმია რომ არ ყოფილიყო, ჩეხი და სლოვაკი ხალხები დაიღუპებოდნენ.

პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ 25 წლის წინათ მოხდარმა ამბებმა გზა გაუხსნეს უდიდეს სახალგაზდობრივ გარდაქმნებს ჩეხოსლოვაკიის ხალხების ცხოვრებაში.

იმპერიალიზმი ვერ შერიგებია ამას და არც აპირებს შერიგებას. სხვადასხვა მეთოდებით, ფორმებითა და საშუალებებით, მათ შორის საზხედრო ძალებით, იგი ცდილობს წინააღუდგეს ხალხებს, რომლებიც იღვწიან თავიანთ უფლებებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის, იგი აბრობს მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის ბრძოლას თავიანთი უფლებებისათვის. ამასთან ერთ იმპერიალიზმი ცდილობს გამოიყენოს ყოველი ჩვენი შეცდომა, ყოველი შესაძლებლობა იმისათვის, რომ შეგვინუსუტოს საზოგადოებრივი წყობილება დაარღვიოს სოციალისტური ქვეყნების ფრონტი. ჩვენი ამოცანა, მსოფლიოს მეელი პროგრესული და დემოკრატიული ძალების ამოცანა ის არის, რომ ჩავფეშოთ ეს გეგმები. ამას, რომ ეს შესაძლებელია, ადასტურებს მოსკოვის ამასწინანდელი კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის შედეგებიც.

როცა გვეუბნებიან, რომ ჩვენ შეესაძლებლობა გვაქვს ავაშენოთ სოციალისტური ჩეხოსლოვაკია სხვა სოციალისტური ქვეყნებისაგან იზოლირებულად, ეს მხოლოდ სიცრუე როდია. ამგვარი გამოსვლები თავიანთი შედეგებით, საზეაზით აღნიშნა ლ. სვობოდამ, მიმართულია არა მარტო სოციალიზმის საერთაშორისო ინტერესების წინააღმდეგ, არამედ, უწინარეს ყოვლისა ჩვენი რესპუბლიკის ინტერესებისა და უშიშროების წინააღმდეგ. ჩეხოსლოვაკიის მხოლოდ მაშინ შეუძლია წარმატებით ვითარდებოდეს, როგორც სოციალისტური სახელმწიფო, თუ მჭიდრო ერთობა ექნება სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, თუ იფიანმშრომლებს მთელი მსოფლიოს პროგრესულ და დემოკრატიულ ძალებთან.

ამას წინათ მე და ამხანაგმა ბუსაკმა რამდენიმე დღე დავყავით საბჭოთა კავშირში. ჩვენ შეგობრული და ერთობ სასარგებლო მოლაპარაკება გვქონდა ხელმძღვანელ საბჭოთა ამხანაგებთან, განსაკუთრებ პრეზიდენტმა. ჩვენი მოლაპარაკების დროს, რასაც მომავალშიც განვაგრძობთ, კვლავ დადგენილ იქნა, რომ კარგი ურთიერთობით და მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე წყდება და შეიძლება გადაწყდეს ყველა პრობლემა.

ჩვენი ხალხების ანსოლუტურ უმრავლესობას სურს, რომ ჩვენი რესპუბლიკა წარმატებით ვითარდებოდეს, განაცხადა ლ. სვობოდამ. მაგრამ ყველას ეს მიზანი რიდი ამოქმედებს. ზოგზოგებს უნდათ, რომ სოციალიზმის განვითარებამ ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მარცხი განიცადოს, რომ ქვეყანაში გამუდმებით სუფეფდეს მღელვარება და კრიზისები.

მისწრაფებას — შეაფერხონ და ხელი. შეუშალონ ჩვენი ხალხების მეცადინეობას, მხარს უჭერენ უწინარეს ყოვლისა მტრული ძალები სახღვარგარეთ. ხოლო დროს შესამჩნევად გააქტიურდა უცხოეთის დაზვერვითა და უცხოეთის პრობაგანდის საქმიანობა.

თავს ესხმიან უწინარეს ყოვლისა ჩვენი სახოგადოების ხელმძღვანელ ძალებს, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტურ პარტიას და მის ხელმძღვანელობას, რომლებსაც წილად ხვდათ ძნელი ამოცანა გამოიყვანონ პარტია და მეელი ქვეყანა უალრესად რთული მდგომარეობიდან.

მწამს, ხასი გაუსვა ლ. სვობოდამ, რომ თქვენთან ერთად, ჩვენი ხალხის უდიდეს უმრავლესობასთან ერთად ვიცდეთ ახლანდელი პერიოდის სიძნელეებს, და წარმატებით ვიგლით ქვეყნის შემდგომი განვითარების გზით.

მიტინგის მონაწილეებმა მიიღეს რეზოლუცია პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანეობის იმ ღონისძიებათა მხარდასაჭერად, რომელთა მიზანია თანამედროვე ამოცანების გადაჭრა, სოციალისტური ჩეხოსლოვაკიის შემდგომი განვითარება.

სახელოვანი წლისთავი

პრაღა, 18 აგვისტო. საკდესის კორესპონდენტი ბ. კრაპეშკი იტყობინება: სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 25 წლისთავის წინ ჩეხოსლოვაკიის ქალაქებსა და სოფლებში ეწყობა შეხვედრები, კრებები, საღამოები, რომლებიც ეძღვნება ქვეყნის ისტორიის ამ დიდ მოვლენას.

სლოვაკიის სხვადასხვა რაიონის ათასზე მეტი ქალიშვილი და ჭაბუკი შეხვდა გუშინ ერთმანეთს ბანსკა-ბისტრიცაში, რათა აღენიშნათ სლოვაკიის ეროვნული აჯანყების 25 წლისთავი.

ჩეხოსლოვაკიის მე-4 პარტიზანული ბრიგადის ასზე მეტმა ყოფილმა მებრძოლმა და შეთაურმა დაბა პარტიზანსკა-ლუპჩაში პატივი სცა სლოვაკიის კომპარტიის არალეგალური რევოლუციური კომიტეტის წევრთა ხსოვნას, რომლებიც გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაიღუპნენ.

საერთაშორისო ცხოვრება

გვირგვინებით შეამკეს გმირთა ძეგლები

ულან-ბატორი, 18 აგვისტო. (საკდესი). დღეს ქალაქ ჩოიბალსანში — აღმოსავლეთ აიმაკის ადმინისტრაციულ ცენტრში, რომლის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ბრძოლები მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში, გაიმართა იაპონელ დამპყრობლებთან ბრძოლებში მამაცია სიკვდილით დაღუპული საბჭოთა და მონღოლი მეომრების ძეგლების გვირგვინებით შემკობის საზეიმო ცერემონია, ამას იუწყება მოსკოვის საგენტო.

გვირგვინებით შემკობის ცერემონიას დაესწრნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები, რომელთაც შეთაურობდნენ მონღოლეთის რევოლუციური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ი. ცედენბალი და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის დიდი სახალხო ხურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ, საბჭოთა სამხედრო დელეგაციი არმიის გენერალს ი. ი. ფედიუნინსკის მეთაურობით და სხვა საბჭოთა სტუმრები.

მდგომარეობა კვლავ დაძაბულია

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიის (ოლსტერის) ყველა დიდი ქალაქი ინგლისის ჯარებმა დაიკავეს. სანიღბავ ხალათებში გამოწყობილი შეიარაღებული ჯარისკაცები პატრულობენ ქუჩებში, ტყვიამფრქვევებთან მიწოლილან შენობათა სახურავებზე და სახლების შესასვლელებში. მარტო ოლსტერის დედაქალაქ ბელფასტში 1.000 ინგლისელი ჯარისკაცია. ინგლისის ჯარების საერთო რიცხვმა ჩრდილოეთ ირლანდიაში უკვე გადააჭარბა 4 ათას კაცს. ისინი ოლსტერში ჩავიდნენ, რათა დაეხმარონ ჩრდილოეთ ირლანდიის პოლიციის ეგრეთწოდებულ სარეზერვო ჯგუფგანაყოფებს, რომლებიც მოიერიშეთა შეიარაღებულ რაზმებს წარმოადგენენ და სასტიკად უხეწრდებიან მოქალაქეობრივი უფლებებისათვის მებრძოლთ. სწორედ მათ დაიწყეს მოფაშისტო ელემენტების აქტიური მხარდაჭერით კათოლიკური გეტოების დარბევები ქალაქ ლონდონდერიში, რამაც მკვეთრად გაამწვავა ქვეყნის მდგომარეობა.

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ჩრდილოეთ ირლანდიის მთავარი ქალაქის ბელფასტის სულ ცოტა ორი ათასი მცხოვრები უსახლკაროდ დარჩა და იძულებულია ეუჩაში გაათოს ღამე იმის გამო, რომ ხუთი დღეა არ წყდება შეტაკებები ჭუჩაში მოსახლეობასა და პოლიციას შორის. ქალაქში დაინგრა რამდენიმე ასული შენობა.

ორი ათასამდე ინგლისელი ჯარისკაცი პატრულობს ბელფასტის ქუჩებში, სადაც როგორც გაზეთი „ივენინგ ნიუსი" წერს, ვითარება კვლავ დაძაბულია.

დღეს ლონდონში სახალხოთლოს წინაშე წარსდგა იმ დემონსტრაციის ზოგიერთი მონაწილე, რომელიც ჩრდილოეთ ირლანდიელი ხალხის მოქალაქეობრივი უფლებებისათვის ბრძოლის მხარდასაჭერად გაიმართა გუშინ ხალხოს ლონდონის ცენტრში. 30 კაცი გუშინ დააკავეს მას შემდეგ, რაც ჩრდილოეთ ირლანდიის წარმომადგენლობის შენობასთან ბერკლი სტრიტზე შეტაკება მოხდა დემონსტრანტებსა და პოლიციის რაზმებს შორის.

ხალხის მხარდაჭერა

დელი, 18 აგვისტო. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ინდირა განდიმ კმაყოფილება გამოთქვა იმ მხარდაჭერის გამო, რითაც ინდოელი ხალხი შეხვდა ბანკების ნაციონალიზაციას.

დღეს ინდირა განდი გამოვიდა გლეხთა მასობრივ მიტინგზე, რომლებიც სპეციალურად ჩამოგადგნენ დელში ძალიან პოდეშის შტატიდან, რათა განეცხადებინათ, რომ იწონებენ მთავრობის გადწყვეტილებას უდიდესი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ. როგორც ინდოეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ხალხის მხარდაჭერით ეს გადაწყვეტილება წარმატებით შესრულდება.

რაშიდ კარამეს განცხადება

ბეირუთი, 18 აგვისტო. (საკდესი). ამასთან დაკავშირებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში განიხილავენ ლიბანის საჩივარს ისრაელის წინააღმდეგ, რომლის ავიაცია აგრესიულად დაესხა თავს ლიბანის სამხრეთ რაიონებს, ლიბანის პრემიერ-მინისტრმა რაშიდ კარამემ განცხადება გააკეთა ადგილობრივი პრესის წარმომადგენლებისათვის. განცხადებაში, კერძოდ მან თქვა:

„არ შეიძლება სინანული არ გამოვთქვათ იმის გამო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა ამ ბოლო დროს ამჟღავნა მტრობას ირენს არაბებისადმი და მხარს უჭერს ისრაელს. დიდი საბჭოთა ფოსტი ასეთი პოზიცია ამორალურად მიგვიჩნია".

ბრძოლები ლაოსში

ლაოსში გრძელდება გაფურებული ბრძოლები ლაოსის სახალხო - განმათავისუფლებელ არმიასა და ამერიკის შეერთებული შტატების მარიონეტებს შორის. სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მებრძოლები დარტყმას დარტყმაზე აყენებენ მოწინააღმდეგეს, რომელსაც ზურგს ამერიკელი აგრესორები უმაგრებენ. მარიონეტთა ჯარები მნიშვნელოვან ზარალს განიცდიან ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ.

სურათზე: ლაოსელ პატრიოტთა ქვეგანაყოფს იერიში მიაქვს ამერიკელ დამსჯელთა სამხედრო ბაზაზე.

ფოტო ვიპ-საკდესისა.

მძვინვარეებს „კამილია"

ვაშინგტონი, 18 აგვისტო. არნახული სიძლიერის გრიგალი მძვინვარებს მექსიკის ყურეს სანაპიროზე. კარიბის ზღვაში წარმოქმნილმა ქარიშხალმა, რომელსაც მეტეოროლოგებმა „კამილია" უწოდეს, გადაუქროლა კუბის დასავლეთ ნაწილს და ამერიკის შეერთებული შტატებისაკენ აიღო გეზი.

ამინდის სამსახურის ცნობით ამჟამად ქარის სიძლიერე გრიგალის ცენტრში საათში 320 კილომეტრს აღწევს. წვიმის ნაკადმა და ძლიერმა ქარმა მექსიკის ყურეში თოთქმის 7 მეტრით ასწია წყლის დონე.

გრიგალი თავს დაატყდა რაიონს, რომლის ტერიტორიაზეც 1.600 ათასი მცხოვრებია. ყველაზე ძლიერ დაზიანდნენ ქალაქები ახალი ორლეანი (ლუიზიანის შტატი), გალფპორტი და ბილოქსი (მისისიპის შტატი). დატბორილია სახლები, გზები, წალეკილია ხიდები.

სანაპიროს რაიონების 100 ათასზე მეტმა მცხოვრებმა მიატოვა თავისი სახლ-კარი. ფლორიდის, ალაბამის, დუზიანის და მისისიპის შტატების საავტომობილო გზები გადატვირთულია უამრავი ავტომანქანებითა და ავტობუსებით. უკვე რეგისტრირებულია ასობით საავტომობილო კატასტროფა. ლტოლვილები განიცდიან საკვების, წყლისა და ავტომანქანების საწვავის მწვავე ნაკლებობას.

ფილიპ გლაიბერგის გარდაცვალების მიზეზი

ლონდონი, 18 აგვისტო. (საკდესი). ფილიპ ბლაიბერგის გარდაცვალების გამო დღეს გამოქვეყნებულ განცხადებაში ნათქვამია, რომ იგი გარდაიცვალა გულის უკმარისობით, რაც თირკმელების უკმარისობისა და პნეუმონიის შედეგად განვითარდა.

გულის გადანერგვის ოპერაციის შემდეგ, რომელიც 1968 წლის 2 ივნვარს პროფესორმა კრისტიან ბერნარდმა გაუკეთა, ბლაიბერგის კანმრთელობა რამდენჯერმე გაუარესდა. უკანასკნელად ბლაიბერგმა თავი ცუდად იგრძნო 14 აგვისტოს. იგი კვლავ მიიყვანეს „ხროტე სხიურის" საავადმყოფოში, სადაც გარდაიცვალა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტები

● ეროვნული ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ყრილობამ მოითხოვა დიდეოვნებლივ გაანალიზოს ყველა უცხოელი მისიონერი ინდოეთიდან, კერძოდ მისი სასაზღვრო რაიონებიდან.

ორი დღის მანძილზე სიმლაში მიმდინარეობდა ეს ყრილობა, რომლის მონაწილეებმა რეზოლუციაში ხაზგასმით აღნიშნეს, რომ უცხოეთის მისიონერთა საქმიანობას ინდოეთის საშინაოდ ფეოდალურ ხასიათი აქვს, რადგან ამავამად მათი მთავარი მიზანია „ჯაშუშობა". აგრეთვე ინდოეთის ეროვნული კულტურისათვის ძირის გამოთხრა".

● ბეიტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დიდაქალაქში გაიმართა საზეიმო მიტინგი იმასთან დაკავშირებით, რომ აქ იმყოფება ვიეტნამის ეროვნული, დემოკრატიული მშვიდობისმოყვარე ძალების კავშირის დელეგაცია კავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ჩინ დენ თხაოს მეთაურობით.

● ინდოეთის კომუნისტური პარტიის ინიციატივით დელში გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ იწონებენ და მხარს უჭერენ მთავრობის გადწყვეტილებას ქვეყნის უდიდესი ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ.

მასობრივი მიტინგი ბანკების ნაციონალიზაციის მხარდასახ. ჭერად გამართეს აგრეთვე დელში უტარ პრადეშის შტატის გზის მუშებმა.

● ჩარლსტონში (სამხრეთ კაროლინა) დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების ზანგთა ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზაციის — სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციის ყოველწლიური ყრილობა. ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი დიდი ხნის მანძილზე იყო ზანგთა უფლებებისათვის გამოჩენილი მებრძოლი მარტინ ლუთერ კინგი.

ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც უპირველეს ამოცანად სახავს უფრო აქტიურ ბრძოლას იმისათვის, რომ ცნონ ზანგ მშრომელთა უფლება გაერთიანდნენ პროფკავშირებში, მოისპოს ზანგთა დისკრიმინაცია სამუშაოზე დაკავების დროს, გაიხსნაროს მათი ხელფასი და გაუუმჯობესდეს შრომის პირობები.

სამხრეთის ქრისტიანული ხელმძღვანელობის კონფერენციის თავმჯდომარედ ყრილობამ მეკლავ აირჩია რალფ აბერნეტი.

● ბამარაკვეთში დამთავრდა კანადის უდიდესი სამრეწველო ცენტრის — ტორონტოს 28 ათასი მშენებელი მუშის ბრძოლა, რომელიც ხანგრძლივებით სამთვენახევარს გრძელდებოდა.

მეწარმეებმა, რომლებიც ლოკაუტსაც კი არ მოერიდნენ, ვერ გასტეხეს მუშების ნებისყოფა და სიმტკიცე. სამშენებლო კომპანიების მფლობელნი იძულებულნი გახდნენ დაეკმაყოფილებინათ გაფიცულთა მოთხოვნები და გაეუმჯობესებინათ შრომის პირობები, მოემატებინათ ხელფასი სიძვირის ზრდასთან დაკავშირებით.



ლირსი სიცოცხლისა და თავისუფლებისა...

25 წლისთავი ერნსტ ტელმანის დაღუპვიდან

1944 წლის 18 აგვისტოს, როცა ჯერ კიდევ მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომის ხანძარი, ფაშისტური მზეცის ბუნაგში მოხდა საუკუნის კიდევ ერთი დანაშაული: ჰიტლერის ბრძანებით ჯალათმა თავი მოჭრეთა უდრეკ რევოლუციონერს, გერმანიის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო შუშათა მოძრაობის გამოჩენილ მოღვაწეს, კომუნისტმოძღვართათვის თავდადებულ მებრძოლს ერნსტ ტელმანს.

ერნსტ ტელმანის ეს წერილი, „პასუხი ბიუტცენის საპყრობილეში პატიმრობით თანამამხანაგის წერილებზე", იბეჭდება შემოკლებით. ის მთლიანად გამოქვეყნებული იყო გერმანულ გაზეთ „ნოიეს დეიჩლანდში" 1950 წლის 21-22 ოქტომბერს. გაზეთის რედაქცია შენიშვნაში აღნიშნავს, რომ მან წერილი მიიღო ერნსტ ტელმანის ცოლის როზა ტელმანისაგან.

ჩემი ძვირფასო ამხანაგო, ამხანაგო სოციალისტური- რწმენით, საერთო ბედითა და რევოლუციური ბრძოლით!

შენს დაწერილ სტრიქონებს რომ გკითხულობდი, მინდოდა გამეგონა შენი ხმა, ჩავწვდომოდი შენი ხასიათის არსს. ეს ძალიან ძნელი ამოცანაა, რომელიც მოითხოვს ნიჭს და წინასწარ გულდასმით მომზადებას ადამიანის ფსიქოლოგიის შესწავლის დარგში. ამიტომ მე გულაბარაკები მოურიდებლად, გულსხლინლად, გულაბარაკები იმ ენით, რომლითაც, ცხადია, უნდა. ხდებოდეს ლაპარაკი ძმებსა, მეგობრებსა და რევოლუციურ მებრძოლებს შორის. ეს ენა პოლიტიკური და მკაფიოა. იგი მტკიცე და მკაცრია, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი გამსჭვალულია ღრმა სიყვარულითა და დიდი გულთბილობით, და იგი მარადალი ენაა, ვინაიდან არსებობს ისტორიული სამართლე, ესე იგი აუცილებელი შესაბამისობა დასაბუთებულ ფაქტებსა მათი ბედმოცემისადმი.

ანსებობს პოლიტიკური სინდისი, რომელიც მოითხოვს სიმართლისადმი სამსახურს. სიმართლის დიდი ხნით ფალსიფიცირება არ შეიძლება, ვინაიდან ფაქტებზე უფრო უდაო არაფერია. მუდამ გახსოვდეს, რომ ჩვენი სინდისი ზმინდაა, იგი არაფრით არ არის შებღალული მშრომელი გერმანელი ხალხის მიმართ. იგი დამძიმებული არ არის სამხედრო დანაშაულობებით, ცრუსოციალიზმით, ფაშისტური, რასობრივი თეორიებით, ნიცშეგბერგის ყაიდის ფილოსოფოსობით, თავგასულობით, ქედმაღლობით, მკვეხარობით და სხვა. ჩვენ არაფრით არა ვართ შებღალული. და ჩვენ არ შეგვიძლია აღტაცებული და აღფრთოვანებული ვიყოთ ამ მსოფლიოთი, არამედ უნდა დავუპირდაპიროთ ამ მსოფლიოს მამაცური და გამბედაობა-სებული სულისკვეთება ჩვენი მტკიცე და მაზანდასახული შეხედულებებისა და უღმობელი, მკვეთრი კრიტიკა.

...პოლიტიკური მოღვაწის მასშტაბის ღირსეულად შეფასება შეიძლება როცა მას განსჯიან არა მარტო იმის მიხედვით, თუ რას მიაღწია მან, არამედ იმის მიხედვითაც, რის მიღწევაც მას სურდა. ვისაც სურს ბედს მბრძანებელობდეს, თავს ეპარა ახალი გზები გაუკაფოს, თავისი ხალხი უკეთესი მომავლისაკენ წიაყვანოს, ვინც ვრცნობს მოწოდებას და ისახავს ამოცანას ადაგზნოს სხვები თავიანი სულიერი ცეცხლით, იგი უპირისპირდება გაუგებლობის, უარყოფის საფასუროს, მტრულ სამყაროს. ვინაიდან ცხოვრებაში „ახრი აკვს მხოლოდ ბრძოლას!

... ჩვენ ჩამწყვდეული ვართ ვიწრო ფარგლებში, ჩვენი წარმოდგენებიდან ჩვენ ვკმნით იმ დიდი სამყაროს სურათს, რომელშიც ცხოვრების შესაძლებლობას მოკლეულები ვართ. მე ხშირად ვფიქრობ იმაზე, რამდენად უფრო შეზღუდულია აქ ცხოვრება იმ ადამიანის ცხოვრებასთან შედარებით, რომელიც ოქროს თავისუფლებით სარგებლობს. მრავალი წლის პატიმრობაში მარტობა, საპყრობილის ვითარება, რომელიც სულის ჩამკვლელია, ოთხი შიშველი კედელი, მრავალი წლის იზოლაცია ზოგჯერ გარდუვალს ხდის ცუდ განწყობილებას და სასოწარკვეთილების შეძახილებს. როცა მოვიგონებ ყოველივე იმას, რამაც უკვე გაიარა იმ ხნის მანძილზე, რაც საპყრობილეში ვარ, უნებურად თვალს ვხუჭავ. ისიც კარგია, თუ აქ ორიენტაცია არ დაკარგე, თუ ლეში არ ვახდი მანამდე, სანამ ფიზიკურად მოკვდებოდი.

... თუ ყურს დავუგდებთ ჩვენს შინაგან ხმას, თუ გავზომავთ ჩვენი სულის სიმტკიცეს, მაშინ ვიგრძნობთ ჩვენი სულიერი სიდიადისა და გარკვეულობის ძალას და განსაკუთრებით რწმენის ძალას, რაც გამოგვიხსნის საპყრობილის ამ დამბაჩაგვებელი, ცარიელი და თითქმის უიმედო ატმოსფერიდან.

...რაც უკეთ იცის ადამიანმა საიდან და საით მიდის იგი, მით უფრო ნათელია, ამრიგად, მისი მოგონებანი და მოლოდინი, მით უფრო მეტად წარმოადგენს ასეთი ადამიანი ნამდვილ პიროვნებას. ასეთი მოლოდინი სრულებითაც არ არის პასიური ლოდინი, არამედ მზადყოფნაა მტკიცედ შეხვდე მომავალს, გახსოვდეს ახლად წარმოშობილი პოლიტიკური მიზნები.

...ჩემს მიმართ გამოიყენეს იძულების მეელი უსასტიკესი მეთოდები, რომლებიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ, მაგრამ ვერ მაიძულეს მიმეცა მათთვის სასურველი ჩვენება და ცხობები წინათდაპატიმრებულ ამხანაგებზე, აგრეთვე მათს პოლიტიკურ მოქმედებაზე... მაშინ მიმართეს უხეში ფიზიკური ძალის გამოყენებას. ოთხი კბილი ჩამიმტვრიეს. მაინც არავითარი შედეგი არ მისცეთ... მესამე აქტი იყო ჰიპნოზი, მაგრამ მან ჩემზე ვერ იმოქმედა, ეს ცდა დაამარცხა ჩემმა მაშინ ჯერ კიდევ ძალიან მაგარმა ნერვულმა სისტემამ. მე სრული სიმშვიდე და ნათელი აზროვნება შემრჩა. ასე გაიარა სამსაათნახევარმა. მაგრამ ამ დრამის კულმინაცია უკანასკნელი აქტი იყო. ტანისამოსი გამაძარეს. ორმა ფეტაპოელმა ტაბურეტის გარდიგარდმო დამაწვინა. ერთმა მათგანმა დამიწყო ცემა ბეჭოტის ტყავის ძირიმე მათრახით. ტკივილისგან რამდენჯერმე დავიკვნესე.

მაშინ პირში ტილო ჩამაჩარეს და მათრახი ისევ სეტყვასავით დამიშინეს... საღამოს 9 და 30 წუთზე ჯალათებმა თავიანთი გართობა დამთავრეს...

დიდ პოლიტიკაში, აგრეთვე ხშირად ადამიანთა საზოგადოების ცხოვრებაში ზოგჯერ ხდება, რომ ერთ მხარეს მეტად მაზნებარედ სურს დაიჩაროს პროცესი, მაშინ როცა მეორეს არა მარტო ეშინია მისი, არამედ ასეთი პროცესის არსებობა პოლიტიკურ უბედურებადაც მიაჩნია. სწორედ ასევე ჩემი პროცესიც, ამ მიზეზების გამო ჩემთვის დიდად სამწუხაროდ, არ შედგა, ვინ მოსთვალოს, რამდენი ტანჯვა განვიცადეთ და რა გადაგიტანეთ ამ ხანგრძლივი პატიმრობის წლებში!

...იფიქრე იმაზე, რომ ცხოვრება ავალებს ადამიანებს იბრძოლონ არა იმისათვის, რომ დამარცხებულნი აღმოჩნდნენ, არამედ იმისათვის, რომ დაეუფლონ ცხოვრებას, გიგალონ მისი მკაცრი, მაგრამ უცილობელი ენა და შემდეგ გაახალგაზრდავებულნი აღდგნენ უფსკრულიდან — ახალი ცხოვრებისათვის... იყავი მამაცი და გაბედული! მტკიცედ ეწამდეს ჩვენი დიდი საქმის სიმართლე! რევოლუციური მოღვაწეობა დიდ მსხვერპლს მოითხოვს.

...მე უთვისტომო ადამიანი როდი ვარ. მე დიდი ეროვნული და თანაც ინტერნაციონალური გამოცდილების მქონე ადამიანი ვარ, ჩემი ხალხი, რომელსაც მე ვეკუთვნი, რომელიც მე მიყვარს, გერმანელი ხალხია, და ჩემი ერი, რომლითაც მე ვამაყობ, — გერმანელი ერი, გაბედული, ამაყი და მტკიცე ერი. მე გერმანიის შუშათა კლასის სისხლი სისხლთანგანი და ხორცი ხორცთაგანი ვარ. და ამიტომ, როგორც რევოლუციური კლასის შვილი, შემდეგში მისი რევოლუციური ბელადი გავდი. ჩემი სიცოცხლე და შრომა მიმართული იყო მხოლოდ მშრომელი- გერმანელი ხალხის. საკეთილდეოდ. ჩემი ცოდნა, ძალა და გამოცდილება, ჩემი მოღვაწეობა — მეელი ჩემი არსება მოხმარდა გერმანიის მომავლისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის, თავისუფლებისათვის, გერმანელი ერის ახალი აყვავებისათვის ბრძოლას... 22 წელიწადს ვმუშაობდი შავ მუშად მრეწველობის ბევრ დარგში...

ხასიათი და სულიერ თვისებათა ერთობლიობა — ამ სიტყვათ უნდა გამხასიათებდეთ ადამიანს, რომელიც მთელ თავის ძალღონეს ხალხისადმა სამსახურს ახმარს. ხასიათის ეს მთლიანობა პროგრესული პიროვნების განუყოფელი თვისებაა, ვინაიდან პროგნეზების ფასსა და მასშტაბს ხასიათი განსაზღვრავს. რა ახასიათებს ყველაზე მეტად პიროვნებას? ის, რომ ადამიანი ყოველ მოვლენაში უმრჩილებს მთელ თავის ყოფიერებას იდეას, მიისწრაფვის რა მიაღწიოს რაღაც უმაღლესს. ჩვენი ცხოვრების ისტორია მკაცრა, ამიტომ ადამიანს მთლიანად მოითხოვს... ჩვენ ყველანი უნდა ვიყოთ ძლიერნი, მტკიცენი, შეუპოვარნი, გვქონდეს მომავლის რწმენა, ვინაიდან რევოლუციის ჯარისკაცად ყოფნა ნიშნავს:

იცავდე ურღვევ ერთგულებას საქმისადმი, ისეთ ერთგულებას, რომლის შემოწმებაც ეფეფ ერთ-ერთ ადამიანს ცხოვრებასთან შედარებით, ოლონდ ეს ერთ-ერთ ადამიანი ამ ბრძოლაში ერთ-ერთ ადამიანია,

ROGORR UMZADEBDA ACALI SASWAVLO WLIS SAXELMZRVANELI?

ყველაფერი — სკოლას

ზესტაფონში ახალი სასწავლო წელსახვის ზაფხულის ცალრე დღეებია. სკოლების მშენებლობაზე წელს იხარჯება 184 ათასი მანეთი, მიშენება-შეკეთებაზე—148 ათასი მანეთი.

სოფლებში ქვედა საზანოსა და ცხრაწყაროში რვაწლიანი სკოლების ტიპური ნაგებობანი დასასრულს უახლოვდება. ამ სკოლებს „ზესტაფონმშენის“ სამშენაოველის კოლექტივი აშენებს. ქვედა საზანოს რვაწლიანი სკოლა ავარიულ მდგომარეობაში იყო. ახლა სოფლის მშრომელებს, მოსწავლეებ ახალგაზრდობას ახარებთ ორსართულიანი კაპიტალური ახალი სკოლა, სადაც პირველ სექტემბერს ზარი აწკრიალდება. სკოლის კოლექტივმა და სახოფლო საბჭოს ინიციატივით გაკეთდა სკოლამდე მისასვლელი ბეტონის გზა, შემოიღობა სკოლის ეზო, გაშენდა ყვავილნარი. მდინარე ბეჟის სანაპიროდან 500 მეტრზე სკოლისათვის გამოჭაედა სასმელი წყალი.

ახალი სასწავლო წლისათვის კარგად მოემზადა შორაპნის საშუალო სკოლა. მას საჭმიანი შეფობა გაუწიეს შორაპნის ელექტროელემენტებისა და ტეგრის სამშენებლო მასალათა ქარხნების კოლექტივებმა (დირექტორები მ. კოკნაძე და ა. სალაძე). მათი დახმარებით სკოლა დროულად შეკეთდა. საკლასო ოთახები და კაბინეტ-ლაბორატორიები შეელესა და შეიღება, ბევრ ოთახში და აივანზე გამოიცვალა ხის იატაკი, შეკეთდა კარ-ფანჯრები, სახურავი, საკლასო ინვენტარი. მოწესრიგდა ელგაყვანილობა. ლაბორატორიებისათვის შეძენილია ხელსაწყო-ინვალიდები, სასკოლო ბიბლიოთეკისათვის — ლიტერატურა. მიმდინარეობს ეზოს კეთილმოწყობა.

აღსანიშნავია, რომ ამ სამუშაოებში აქტიურად მონაწილეობენ მშობლები — ზ. ტოროშელიძე, შ. ჭუმბაძე, რ. მაჭავარიანი, ვ. ტალახაძე, ა. გვაზავა, კ. ბეგაძე; მასწავლებლები — შ. ბარბაქაძე, ვ. ფხალაძე, ა. ერისკე, გ. სიფრომაძე, რ. ტალახაძე და სხვები.

ახალ სასწავლო წელს მომზადებული ხვდება ძირულის ხაშუალო სკოლა, სადაც რემონტი ჩაატარა ძირულის ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხნის კოლექტივმა. სკოლის წყალთ ფაზრუნველყოფაზე იმუშავა ძირულის ლვინის ქარხანამ. კაბინეტ-ლაბორატორიები შეივსო ხელსაწყოებით, ხოლო ბიბლიოთეკა — ლიტერატურით.

ქალაქის საშუალო სკოლებში მიმდინარე რემონტი გაგიანურდა მასალების უკონლობის გამო. მუშა ახალგაზრდობის პირველი საშუალო სკოლის შეკეთება ერთად გვთან დაიწყო ფერროშენადნობთა ქარხნის სარემონტო კანტორამ. წიფლავაკის კოლმეურნეობა მესამე წელია ავიანურებს დაწყებითი სკოლის მშენებლობას.

სკოლებზე ზრუნვა გადაუდებელი, ყველა ორგანიზაციის ღვიძლი საქმეა. ყოველი დღე მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ, რათა სრულ მზადყოფნაში შევხვდეთ პირველ სექტემბერს. ყველაფერი — სკოლას!

ბ. ჭიოკაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ჭკუის სასწავლებელი გაკეთილი

მდინარე ხალხინ-გოლზე იაპონელ დამპყრობთა განადგურების 30 წლისთავის გამო

მდინარე ხალხინ-გოლის რაიონში მომხდარი ამბები კერძო ინციდენტი კი არ ყოფილა, არამედ იყო პატარა გამოუცხადებელი ომი, რომელშიც იაპონიის იმპერიალიზმი ისახავდა დიდ სამხედრო-პოლიტიკურ მიზნებს.

შეკითხვას, თუ რატომ აირჩიეს იაპონელმა აგრესორებმა სათმარი მოქმედების ასპარეზად სწორედ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, უპასუხებს კვანტუნის არმიის შტაბის ყოფილი უფროსის, ხოლო 1938 წლის ივნისიდან იაპონიის სამხედრო მინისტრის გენერალ იტაგაკის განცხადება. იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრთან არიტასთან საუბარში (1936 წლის მარტი) მან განაცხადა: „ოფ გარე მონღოლეთი (ე. ი. მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა) შემოეერთდა იაპონიასა და მანჯურიას, საბჭოთა ფედერაციისა ამმისაგენოს ეშინიერეგბას უძლიერეს დარტყმას მიაყენებენ. თუ საჭიერო გახდა, შესაძლებელი იქნება თითქმის უბრძოლველად გავაბამთანელთ ხსრ კავშირის გაყოფა შორეულ აღმოსავლეთში, ამიტომ არმიას განზრახული აქვს გაკრეფელოს იაპონიისა და მანჯურიის გავლენა გარე მონღოლეთზე ყველა საშუალებით, რაც კი მის განკარგულებაშია“.

იმპონიის ჯარები გაერთიანებული იყო მე-6 არმიაში გენერალ კამაცუბარის სარდლობით; არმიის შემადგენლობაში იყო 75 ათასამდე კაცი, 500-ზე მეტი ტანკი, 350 საბრძოლო თვითმფრინავი; გარდა ამისა, არმიაში შელიოდა ბარგუტის ცხენოსანთა ორი დივიზია.

საბჭოთა ჯარები — სამი მოტოსმრჩოველთა დივიზია, ორი საბანკო და სამი მოტოჯავშნოსანი ბრიგადა, მსროლელ-მეტყველიმფრქვევთა ბრიგადა, აგრეთვე ავიაგამანადგურებელი და ბომბდამშენი ავიაციის ნაწილები — გაერთიანებული იყვნენ საარმიო ჯგუფში, რომელსაც სარდლობდა კორპუსის მეთაური გ. კ. ჟუკოვი. საარმიო ჯგუფის სარდალს ოპერატიულად ემორჩილებოდა მონღოლეთის სამი ცხენოსანთა დივიზია, რომლის უშუალო სარდლობას ახორციელებდა მონღოლეთის სახალხო რევოლუციური არმიის მთავარსარდალის მოადგილე ჟ. ლუაგვასურენი. საარმიო ჯგუფის ჯარების მოქმედების კოორდინაციასა და ყოველმხრივ უზრუნველყოფას ახორციელებდა სამმართველო მეორე რანგის არმიის სარდლის გ. მ. შტერნის მეთაურობით.

საომარი მოქმედების დაწყებამდე, 1939 წლის მაისსა და ივნისის პირველ ნახევარში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ტერიტორიაზე საბჭოთა ჯარების გათვალისწინებითაც კი ძალთა თანაფარდობა აშკარად იაპონელთა მხარეზე იყო, რაც, როგორც ჩანს, მათ სწრაფი წარმატების დიდ იმედს აძლევდა. მაგრამ იაპონიის იმპერიალიზმის პოლიტიკაში ავანტიურიზმმა წარმოშვა ავანტიურიზმი სამხედრო სტრატეგიაშიც და ამით მათ იმედებს ახდომა არ ეწერათ. საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ჯარები დროულად გაიაქეიერეს გენერალური ბრძოლისათვის, რომელიც აგვისტოს უკანასკნელ დეკადაში მოხდა, მათ ჰქონდათ ყველაფერი დამპყრობთა განადგურებისათვის. იაპონიის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელებს ბევრჯერ ჰქონდათ შესაძლებლობა დარწმუნებულიყვნენ, რომ მათ მიერ წამოწყებული ავანტიურა განწირულია ჩასაფუშავად. მაგრამ ვერაფერმა ვერ გამოაფხილა გათავხედებული აგრესორი.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში განლაგებული საბჭოთა ჯარების სარდლობა მიეწერ კორპუსის მეთაურს გ. კ. ჟუკოვს, მისი ერთ-ერთი პირველი ღონისძიება იყო გამაგდებელი ავიაციის გაძლიერება უანლოური თვითმფრინავებით. ამავე დროს საავიაციო ნაწილებში გაიზარდა მფრინავთა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა 21 საბჭოთა კავშირის გმირი ზითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალების სამმართველოს უფროსის მოადგილის ი. ვ. სმუშკევიჩის მეთაურობით. საჰაერო ბრძოლებს მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ცაში მკვეთრად შეიცვალა ჩვენს სასარგებლოდ — საბჭოთა მფრინავგებმა, როგორც ამას გ. კ. ჟუკოვი იგონებს, არაერთხელ ასწავლეს ჭკუა იაპონიის ასებს: 22-26 ივნისის ბრძოლებში მოწინააღმდეგემ დაკარგა 64 თვითმფრინავი, ხოლო სულ შემდგომ ბრძოლებში 600-ზე მეტი თვითმფრინავი.

3-5 ივლისის პერიოდში მოხდა ბაინ-ცაგანის ბრძოლა. 2 ივლისს დამით იაპონიის ჯარებმა მალულად გადალახეს მდინარე ხალხინ-გოლი და იერიში მიიტანეს მონღოლეთის სახალხო რევოლუციური არმიის შეკვეთილ ცხენოსანთა დივიზიაზე, აიძულეს იგი უკან დაეხია. იაპონელებმა ზეელი იკიდეს ბაინ-ცაგანის რაიონი, სახელმწიფო საზღვრის დასაკვლეთით 15 კილომეტრზე.

ბაინ-ცაგანის მთისაკენ შეჭრილი დაჯგუფების სალიკვიდაციოდ გაიგზავნა მეთერთმეტე სატანკო ბრიგადა ბრიგადის სარდლის მ. ბ. იაკოვლევის მეთაურობით, აგრეთვე ოცდამეოთხე მოტომსროლელთა პოლკი ი. ი. ფედიუნინსკის სარდლობით. განვაშის ხმაზე ზეცაში აიჭრა ჩვენი ბომბდამშენი და გამანადგურებელი ავიაციი. 10 საათსა და 45 წუთზე სატანკო ბრიგადის მთავარმა ძალებმა შეუტიეს მოწინააღმდეგეს. ბრძოლამ ორ დღეს გასტანა და მხოლოდ ხუთ იელის გარიერაზე იაპონიის ჯარებმა დაიწყეს ფონისაკენ უკან დახვევა. იაპონელები წყალში ცვიოდნენ სრული საომარი აღჭურვილობით და იხრჩობოდნენ ჩვენი ტანკისტების თვალწინ. იაპონიის ჯარების ნაშთები საკვლევად განადგურებულ იქნა.

მაგრამ ამ ბაკვეთილიდან იაპონიის სარდლობას არ გამოუტანია ჯეროვანი დასკვნები და განაგრძობდა თავდაცვის შექმნას მდინარე ხალხინ-გოლის აღმოსავლეთი ნაპირის გაყოლებით, იქ თავს უყრიდა ახალ რეზერვებს. იგი ეშზადებოდა შეტევისათვის, რომელიც, როგორც შემდეგ გამთარკვა, 24 აგვისტოსათვის ყოფილა გათვალისწინებული.

20 აგვისტოს 5 საათსა და 45 წუთზე არტილერიის მძლავრი ცეცხლით და 250 თვითმფრინავის დარტყმით დაიწყო საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ჯარების გულდასმით მომზადებული გენერალური შეტევითი ოპერაცია; 8 საათსა და 45 წუთზე იერიშზე გადავიდნენ სახმელეთო ჯარები. ბრძოლები და შეტაკებები ოპერაციათა დროს, განსაკუთრებით 21 და 22 აგვისტოს, მეტად დაძაბული იყო. მოწინააღმდეგე შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა.

საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის ჯარებმა გაანადგურეს მოწინააღმდეგის საფლანგო დაჯგუფებანი და 26 აგვისტოს დაამთავრეს იაპონიის მეექვსე არმიის გარემოცვა. 30 აგვისტოს ამ არმიამ შეწყვიტა არსებობა. მოწინააღმდეგემ სამ თვეში დაკარგა დაახლოებით 60 ათასი ჯარისკაცი და ოფიცერი. აქედან 25 ათასამდე კაცი დაზოცილი იყო.

საბჭოთა და მონღოლეთის ჯარებმა დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი სახელი, გამოიჩინეს გმირობა, სამხედრო ოსტატობა. წარჩინების უმაღლესი ხარისხი — საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიენიჭა 70 ყველაზე მამაც საბჭოთა მეომარს. რამდენმე ასეული კაცი დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით; მონღოლეთის სახალხო რევოლუციური არმიისა და ფიზიკი არმიის 800-ზე მეტი მეომარი დაჯილდოდა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ორდენებითა და მედლებით.

ვ. ი. ლენინის ანდერძისა და კომუნისტური პარტიის საქმის ერთგულმა წითელმა არმიამ პირნათლად შეასრულა თავისი ინტერნაციონალური მოვალეობა, კიდევ უფრო განამტკიცა საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობა.

გენერალ-პოლკოვნიკი
ნ. ლომოვი,
(საკვლევი).

შევქმნათ სპორტული ბაზა დიდველზე!

დიდველი — ოქტომბერი

ლენინგრადელი თავის შესანიშნავ წიგნში „ჩვენი დროის გმირი“, ეი როგორ აღწერს ეს. „ეთქვა: „სიტუაციო რომ არის ეს ხელმეტ. ყოველი მხრიან მიეკვალა მოგზაურ არის შემოხვეულები. მოეზიალა ელვებით. ოთხ ტელეფონზეც მეკანე ბაგეი ჩამოიდგა, ტელეფონი ეკეთა ბეჭედი ლოგინებელ ეარი ჩანს ეს ფონზე ერთი ლოგინელ ეარ ჩანს და მხოლოდ ირეკვენ ფრთებს. აქედან ბანდერი საქართველო ჩანს და ეზენტრად გაგონდება პუშკინის სიტყვები: — ეთეალი გადასცა მრეანანე კავკასიონიდან ტერეკი საქართველოში წარმტაცა. საბრძოლოს პაერი ოთონ ნანდაბა. ბოხანიან და ჩეტრეს მეკანეს ბალახითა და ალასდერიკვალენელებით მოირთავენ, ახლა ტანიკი ბრეტეტეკი — ცხენი და ეროხა ლომში ღილებითა მოდებიან საკობესა და საბატალეს ფერდობებს. ლეონი ცის ფონზე ერიკი ლოგინელ ეარ ჩანს და მხოლოდ ირეკვენ ფრთებს. აქედან ბანდერი საქართველო ჩანს და ეზენტრად გაგონდება პუშკინის სიტყვები: — ეთეალი გადასცა მრეანანე კავკასიონიდან ტერეკი საქართველოში წარმტაცა. საბრძოლოს ბალი



ერთობაზედ თავს ევლება მგზავრს. გუთ-ბოლის ბალღობიდან თავლწინ ამდენება კაბინეტის ეკეი ოთეტის დასახლებული კლდეებით, ბალეებით, ეარცხლისფერი ბოლოვით დაკლაკნილი ნაბილი ირეკვენ, — ეგ ყოველი ეს შემეტიერებული მოსჩანს სამეარსანი ეუტარეულის ძირში, ხოლო თეთ ეუსკოლეზეს სამნი გზა მიგამოვიგა...

გავგონდება ანტონ ჩეხოვის სიტყვები. საქართველოში ყოფნის დროს მეგობრისათვის რომ მიუწერია: — ცხოვრობდე სადღაც ბეტალეტრთან და ზღარეს და მოეკმეს აო ეწერი — ეს ლორობა-ბა, რომ კობტაგორი თბილისიდან ბორი ბასპეული ამ მხარეს ეიმრიგი სტემარი ეყავს, დარბილის ხეობით თე დედაქალაქი მოდიან ტერიტორეს სამეოთა კავშირის ყველა კუთხიდან, მოდიან ეუცხოელები ალბიდან, ეფრეკიდან, ევროპიდან, ამერიკიდან, სახალხო დემოკრატიის ქვეყნებიდან, ესენი ტბებიან საქართველოს ბუნების ხილვით, ამაყი მოეთით და მაოდმჩქეფარე თერგით და არაგვით.

ერთი სიტყვით, ჩვენი ბუნება თავისი ხალეზეზითა და მშვენიერებით ეესაზურება ხალხს, მაგრამ, რა ლასამალეგია. საქართველოს ბუნების ბაზილი, ეკრეიდე დიდველიც ეკრეკერობით ვერ იძლევა ამას, რასი მოცემაც შეეძლო.

როცა გუდაურიდან დათოვლილ მთებს და ალპურ სიოკვრებს აყოლიან მზრეს, ეაგონიეა ბორჯომის ტალმაზესი ხეობა, ეაგონდება კობტაგორა — სათანადო ტერ სპორტის საქეეყნიერ ცენტრი ბაზა, რომელიც მშრომელთა დასვენების საეკეთილო ადგილია და რომელიც უკვე ვერ აკმაყოფილებს სპორტსმენთა კეზრდილ მოთხოვნილებას. ეაგონდება, რომ ეკეთილ ადგილ ეაბინეტ-ლაბორატორიებ, ეაბინეტ-ლაბორატორიებ ეაბინეტ-ლაბორატორიებ ეაბინეტ-ლაბორატორიებ

კ. ჯ ა ხ უ ა

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა სამსახურიდან გადამდგარი გენერალ-მაიორი კ. ჯახუა.

კ. ჯახუა დაიბადა 1902 წელს საქართველოს სსრ გეგეჭკორის რაიონის სოფელ ჯოლევში. მოელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მან მოახმარა თავდადებულ სამსახურს საბჭოთა სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი, რომლის წევრიც იყო 1930 წლიდან.

კ. ჯახუამ 30 წელზე მეტ ხანს იმსახურა საბჭოთა შეიარაღებული ძალების რიგებში და განვლო სახელოვანი საბრძოლო გზა — წითელარმიელიდან გენერლამდე. კ. ჯახუა უშუალო მონაწილეობას იღებდა თეორიულ ნელების წინაალმდეგ ბრძოლებში 1939-1940 წლებში. დიდი სამამულო ომის პირველი დღეებიდანვე იგი მამაცურად ებრძოდა გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებს.

როგორც პოლკის, ხოლო შემდეგ დივიზიის მეთაური უნარიანად, პირადი მაგალითით აღაფრთოვანებდა მებრძოლებს უმაგალითო საგმრო საქმეებისათვის სტალინგრადთან, კურსკის რკალზე, კორსუნ-შევჩენკოვსკის, იასი-კიშინიოვის ბრძოლების დროს, ბუდაპეშტის განთავისუფლებისა და ვენის აღებისას.

სარდლობის დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის, დიდი სამამულო ომის ფრონტებზე ნაწილებისა და შენაერთების უნარიანი ხელმძღვანელობისათვის გენერალი კ. ჯახუა არაერთხელ აღნიშნულა უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში.

თადარიგში წასვლის შემდეგ გენერალი კ. ჯახუა თავისი სიცოცხლის დასასრულამდე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას. იყო სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების, ომის ვეტერანთა კომიტეტისა და საზოგადოება „ცოდნის“ სამხედრო-მეთოდური საბჭოს წევრი.

პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს კ. ჯახუას დამსახურებას სამშობლოს წინაშე. იგი დაჯილდოებული იყო ორი ლენინის ორდენით, ოთხი წითელი დროშის ორდენით, კუტუზოვის II ხარისხის ორდენით, ალექსანდრ ნეველის, სამამულო ომის I ხარისხის ორდენებით, ბევრი მედლით და საზღვარგარეთის სახელმწიფოების ორდენებით.

გულისხმიერი ადამიანი, ყურადღებიანი მეთაური — ასეთი დარჩა კ. ჯახუა ყველა იმათ ხსოვნაში, ვინც იცნობდა მას ერთად სამსახურითა და საზოგადოებრივი მუშაობით.

დამსახურებული და მებრძოლი გენერალი კ. ჯახუა თავისი სიცოცხლის დასასრულამდე ეწეოდა აქტიურ საზოგადოებრივ და სამხედრო-პატრიოტულ მუშაობას. იყო სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების, ომის ვეტერანთა კომიტეტი, რომლის წევრიც იყო 1930 წლიდან.

საქართველოს სსრ სამხედრო კომისარიატი; საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების რესპუბლიკური კომიტეტი; ომის ვეტერანთა კომიტეტი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲐᲡᲠᲘᲠᲐᲜᲢᲣᲠᲐᲨᲘ ᲛᲘᲦᲔᲑᲣᲚ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ ᲡᲐᲔᲪᲘᲐᲚᲝᲑᲔᲑᲖᲔ

წარმოებისაგან მოწყვეტით: მათემატიკური ანალიზი, ფუნქციონალური ანალიზი და ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები. ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, მათემატიკური ლოგიკა და პროგრამირება, გამოთვლითი მათემატიკა, თეორიული კიბერნეტიკა, თეორიული მექანიკა, დრეკადობისა და პლასტიკურობის თეორია, ასტრონომია და ცის მექანიკა, გამოთვლითი ტექნიკა, ექსპერიმენტული ფიზიკა, თეორიული და მათემატიკური ფიზიკა, რადიოფიზიკა, მყარი სხეულების ფიზიკა, პლაზმის ფიზიკა, გეოფიზიკა, ატმოსფეროსა და კოსმოსური სხეულების ფიზიკა, არაორგანული ქიმია, ანალიზური ქიმია, ორგანული ქიმია, მაღალმოლეკულური ნაერთთა ქიმია, კოლოიდური ქიმია, ბიოფიზიკა, პეტროგრაფია-მინералოგია, სასარგებლო წიაღისეულთა ძებნა-ძიების გეოფიზიკური მეთოდები, სსრ კავშირის ისტორია, მსოფლიო ისტორია, პოლიტიკური ეკონომია, მრეწველობის ეკონომიკა, ეროვნის ეკონომიკა. ფინანსები და კრედიტი. სასურსათო საქონლის საქონელმცოდნეობა, სამრეწველო საქონლის საქონელმცოდნეობა. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მეცნიერული კომუნიზმის თეორია, მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკა, პედაგოგიკის თეორია, ფსიქოლოგია, კლასიკური ენები, ენათმეცნიერების თეორია, სახელმწიფოსა და სამართლის თეორია და ისტორია.

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ: დიფერენციალური და ინტეგრალური განტოლებები, გამოთვლითი მათემატიკა, გამოთვლითი ტექნიკა, ანალიზური ქიმია, კოლოიდური ქიმია, ბიოლოგიური ქიმია, სკკპ ისტორია, იურიოლოგია, ეთნოგრაფია, ევროპრობის ორგანიზაცია და ტექნიკა, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ეკონომიკა და ორგანიზაცია, შრომის ეკონომიკა, საბოლოტრო აღრიცხვა და სამეურნეო საქმიანობის ანალიზი, ფრანგული ლიტერატურა, რუსული ლიტერატურა, სსრ კავშირის ეკონომიური გეოგრაფია, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმი, მარქსისტულ-ლენინური ეთიკა, შრომის სამართალი, სახვითი ხელოვნება.

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი, ორმოცდეტეს 35 წლის ასაკისა, **ხოლო წარმოებისაგან მოუწყვეტლივ** 45 წლის ასაკისა, რომლებსაც დამთავრებული აქვთ უმაღლესი სასწავლებელი, გამოცდილნენ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის უნარი და აქვთ ორმეცელი სპეციალობის, პროფილით მეცნიერული, პედაგოგიური ან წარმოებაში მუშაობის სულ მცირე 2 წლის გამოცდილება. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ორეული ის პირნი, რომლებსაც აქვთ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაცია ასპირანტურაში შესასვლელად.

განცხადება ასპირანტურაში მიღების შესახებ შეტანილ უნდა იქნას უნივერსიტეტის რექტორის სახელზე შემდეგი სამუშაოებით: 1) კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი ფოტოსურათით; 2) ნოტარიალურად შემოწმებული დიპლომის ასლი; 3) საქმიანი და პოლიტიკური დახასიათება მუშაობის ან სწავლის უკანასკნელი ადგილიდან; 4) ცნობა პრაქტიკული მუშაობის სტაჟის შესახებ ან ამონაწერი რეგომენდაციის შესახებ უმაღლესი სასწავლებლის სამეცნიერო საბჭოს დადგენილებიდან; 5) გამოქვეყნებული შრომების სია. ის პირები, რომლებსაც გამოქვეყნებული შრომები არა აქვთ, ვალდებული არიან წარმოადგინონ სამეცნიერო მოხსენება (რეფერატი) სპეციალურ საგანში.

ასპირანტურაში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ სპეციალურ საგანში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში. **განცხადებები მიღება ა. წ. 25 სექტემბრამდე, გამოცდები დაიწყება 5 ოქტომბრიდან.** დაწერილებითი ცნობების მიღება შეიძლება უნივერსიტეტის ასპირანტურის განყოფილებაში.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 1.

ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ Ქ. ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ № 16 ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲠᲘ ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1969-1970 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

ერთი წლის სწავლების ვადით:

1. კაპრონის ბოჭკოს მგრეხავები; 2. კაპრონის ბოჭკოს გადამხვევლები; 3. კაპრონის ბოჭკოს მქსოველები; 4. სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების მეკარატეები; 5. ვაკუუმ-კომპრესორების მემანქანეები;

ორი წლის სწავლების ვადით:

1. ტექნოლოგიური დანადგარების შემკეთებელი ზეინკლები; 2. ელექტრომონტიორი-შემკეთებლებს; 3. ავტომატური საკონტროლო-საზომი ხელსაწყოების ამწყობი ელექტრომონტიორ-შემკეთებლები; 4. ელეაირშემდუღებლები; 5. ქიმიური ლაბორატორიის ლაბორანტები.

სასწავლებელში მიიღებიან გოგონები და ვაჟები 16,5 წლის ასაკიდან 30 წლამდე, სულ მცირე 8 კლასის განათლებით.

განცხადება მიღება 1969 წლის 15 სექტემბრამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. ატესტატი (დედანი) ან ცნობა განათლების შესახებ; 2. დაბადების მოწმობა; 3. დახასიათება (სასოფლო საბჭოდან ან სკოლიდან); 4. ცნობა სამხედრო-ალი ადგილიდან; 5. ვაჟებისათვის ცნობა ოჯახის შემადგენლობისა და მათი საქმიანობის შესახებ; 6. ავტობიოგრაფია; 7. 6 ცალი ფოტოსურათი (ზომა 3X4); 8. პასპორტს წარმოადგენენ პირადად.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან საერთო საცხოვრებლით, სტიპენდიით 36 მანეთის ოდენობით ან სახელმწიფო კმაყოფით. ფრიადოსნები მიიღებენ 25 პროცენტით გადიდებულ სტიპენდიას. ის მოსწავლეები, რომლებიც დაამთავრებენ სასწავლებელს ფრიადზე, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხული იქნებიან კონკურსგარეშე. სწავლის დრო ითვლება უწყვეტ სტაჟად. საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს მიიღებენ გამომუშავების 33 პროცენტს სტიპენდიასთან ერთად.

სწავლა დაიწყება 15 სექტემბერს.

მისამართი: რუსთაველის სინთეზური ბოჭკოს ქარხნის ტექნიკუმი, № 16 პროფტექნიკური სასწავლებელი, ტელეფონი: 21-56, 7-14, 7-50; ავტობუსი 1, 4ა, 5.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი

1969 წლისათვის აცხადებს ასპირანტურაში მიღებას

სახვითი ხელოვნება — 1 ადგილი (დაუსწრებელი).

ასპირანტურაში შესასვლელად საჭირო საბუთები მიიღება 5 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

ცნობების, მიღებას ასპირანტურაში შესასვლელ წესების შესახებ შეიძლება ინსტიტუტის დირექციაში (თბილისი, კმცხოველის ქ. 10, ტელ. 99-51-39).

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲡᲢᲔᲜᲝᲒᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲙᲝᲚᲐ

აცხადებს მიღებას 1969-70 სასწავლო წლისათვის სტენოგრაფიის ერთწლიან და ორწლიან განყოფილებებზე

სტენოგრაფიის ერთწლიანი განყოფილება ამზადებს მდივან-მემანქანეებს სტენოგრაფიის ცოდნით. **სტენოგრაფიის ორწლიანი განყოფილება ამზადებს** სტენოგრაფებს.

სკოლაში არის ორი სექტორი: ქართული და რუსული.

სკოლაში მიიღებიან მდედრობითი სქესის მოქალაქენი.

სტენოგრაფიის ერთწლიან განყოფილებაზე მიიღებიან საშუალო და არასრული საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი, **სტენოგრაფიის ორწლიან განყოფილებაზე** — საშუალო განათლების მქონე მოქალაქენი.

სკოლაში შემსვლელი პირები გამოცდას აბარებენ მშობლიურ ენაში (წერა).

სკოლა სამეურნეო ანგარიშზეა.

სკოლაში შემსვლელმა პირმა განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განათლების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ორი ფოტოსურათი, ავტობიოგრაფია, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

განცხადება მიიღება 30 აგვისტომდე ყოველდღე დილის 10 საათიდან საღამოს 5 საათამდე.

მისაღები გამოცდები 27-დან 30 აგვისტომდე.

სკოლის მისამართი: ქ. თბილისი, კამოს ქ. № 52, ტელ. 95-99-92.

საქართველოს ა. ი. დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის სამეცნიერო-კვლევითი საკავშირო ინსტიტუტის დირექცია

აცხადებს კონკურსს თბილისის ელექტროტექნიკის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ვაკანტურ თანამდებობაზე.

კონკურსში მონაწილეობის მიღებას მსურველებმა უნდა შეიტანონ ინსტიტუტის დირექციაში (თბილისი, ზ. რუხაძის ქ. № 1, ტელეფონი: 36-22-40) **განცხადება და დებულებით გათვალისწინებული საბუთები ორ ცალად.**

კონკურსის ვადაა 1 თვე ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲗᲐᲜ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲝ-ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად

1. **დაგეგმვის მეთოდოლოგიისა და სახალხო მეურნეობის ბალანსების განყოფილებაში:** განყოფილების გამგე; დაგეგმვისა და მართვის მეთოდოლოგიის სექტორის გამგე; სახალხო მეურნეობის ბალანსის სექტორის გამგე.

2. **მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის განყოფილებაში:** განყოფილების გამგე; უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 ერთეული.

3. **საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის განყოფილებაში:** განყოფილების გამგე; უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 2 ერთეული.

4. **მძიმე მრეწველობის განყოფილებაში:** უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 ერთეული.

5. **საქონელბრუნვის, ფინანსებისა და ფულის მიმოქცევის განყოფილებაში:** უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 ერთეული.

6. **მხუბუქი და კვების მრეწველობის განყოფილებაში:** განყოფილების გამგე; უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 ერთეული.

7. **ბუნებრივი რესურსებისა და წარმოების გადაადგილების განყოფილებაში:** განყოფილების გამგე; რაიონული დაგეგმარების სექტორის გამგე; უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 ერთეული.

8. **ეკონომიურ კვლევასა და დაგეგმვაში, მათემატიკური მეთოდების გამოყენების განყოფილებაში:** უმცროსი მეცნიერი — 1 ერთეული.

9. **კომუნალური მეურნეობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების განყოფილებაში:** განყოფილების გამგე.

10. **სოფლის მეურნეობის განყოფილებაში:** უფროსი მეცნიერი თანამშრომელი — 1 ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ მეცნიერებათა დოქტორებსა და კანდიდატებს, აგრეთვე სპეციალისტებს, რომლებსაც აქვთ უმაღლესი განათლება და პრაქტიკული მუშაობის დაწესებული სტაჟი არჩეული სპეციალობის მიხედვით.

კონკურსში მსურველებმა ინსტიტუტის დირექტორის სახელზე დაწერილ განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინონ: კადრების აღრიცხვის პირადი ბარათი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხის დამტკიცების სამუშაოს სათანადოდ შემოწმებული პირი, დასასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია.

კონკურსში მონაწილეობის შესახებ **განცხადების შეტანის ვადაა ერთი თვე** ამ განცხადების გამოქვეყნების დღიდან.

მისამართი: ქ. თბილისი, ჯავახიშვილის ქ. № 16. ტელეფონი 93-12-55, 99-75-15.

Ქ. ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ № 51 ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1969-1970 სასწავლო წლისათვის

1. ბლუტმახის მწნეხავის, 2. ზეინკალ-მეიარაღის, 3. ზეინკალ-შემკეთებლის, 4. ელექტრომოწყობილობათა მონტიორების სპეციალობებზე.

სასწავლებელში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე გოგონები და ვაჟები 17-35 წლის ასაკისა.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები მიიღებენ სტიპენდიას 36 მანეთის ოდენობით, ფრიადოსნებმა 45 მანეთის, აგრეთვე საწარმოო პრაქტიკის გავლის დროს, გამომუშავებული ხელფასის 33 პროცენტს.

მოსწავლეები, რომლებიც სასწავლებელს დაამთავრებენ ფრიადზე, უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხებიან უკონკურსოდ საღამოს და დაუსწრებელ განყოფილებაზე პროფილის მიხედვით.

განცხადება შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე, შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. საშუალო სკოლის დამთავრების ატესტატი (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. ფოტოსურათი 3×4 (6 ცალი); 5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი (წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად).

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

შენიშვნა: მისაღები გამოცდები არ წარმოებს, ჩარიცხვა ხდება შერჩევით. სწავლების ვადა ერთი წელია. განცხადებების მიღება გრძელდება.

მისამართი: ქ. თბილისი, **მაგნიტოგორსკის ქ. № 5, „ალატაღის“ ქარხანა, № 51 ტექნიკური სასწავლებელი,** ტრამვაი: №№ 3, 5, 6, 11, ავტობუსი: №№ 9, 11, 18, 25, 31, 46, 55, 57, 62, მეტრო: დიდუბე. ტელეფონი: 66-05-80 და 66-18-29.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1969-1970 სასწავლო წლისათვის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში შემდეგ სპეციალობებზე:

ქ. თბილისში

№ 5 ქალაქის პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (ართვინის ქ. № 53) ხარატები, მღარავები, მექანიკური საამწყობო სამუშაოთა ზეინკლები, ზეინკალ-შემკეთებლები.

№ 6 ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (მაგნიტოგორსკის ქ. № 1). ხარატები, მღარავები, მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლები, ზეინკალ-შემკეთებლები.

№ 18 ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (ბუდაპეშტის ქ. № 1) მღებავები (მომპრკეთებლები), ზეინკალ-სანტექნიკოსები, დურგლები (საავეჯო წარმოების), განათებისა და ძალოვანი ელექტრომოწყობილობათა ელექტრომონტიორები.

ქ. კუთაისში

№ 4 ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (ავტოქარხნის ქ. № 21). ხარატები, მღარავები, მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლები, ზეინკალ-შემკეთებლები.

ქ. ბათუმში

№ 1 ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (ქ. მარქსის ქ. № 2) ხარატები, მღარავები; მექანიკურ საამწყობო სამუშაოთა ზეინკლები, ზეინკალ-შემკეთებლები; ნაგავსაფლეთა ფლოტის პირველი კლასის მოტორისტები.

ქ. რუსთავში

№ 3 ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (ბოსტანქალაქის ქ. № 3) ხარატები, ზეინკალ-შემკეთებლები, ელექტრომონტიორი-შემკეთებელები, ცხლად გლინვის დგანის მვალცავები; მარტენის ღუმელის მეფოლადის თანაშემწეები.

ქ. ფოთში

№ 12 ქალაქის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (ვ. ტაბიძის ქ. № 12) ხარატები, გემის ლითონის კორპუსის ამწყობები, გემის ზეინკალ-მემონტაჟიები, გემის დურგალ-მემონტაჟიები.

სურამში

№ 14 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებელი (სარაჯიშვილის ქ. № 6) ფართო პროფილის ტრაქტორისტ-მემანქანეები, მეცხოველეობის ფერმების მექანიზატორები ელექტრომონტიორის კვალიფიკაციით, სოფლის ელექტრფიკაციისა და ავტომატებულობის ელექტრომონტიორები.

ქალაქისა და სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდები პროფესიულ მომზადებასთან ერთად მიიღებენ საშუალო განათლებას, სწავლის ვადა სამი წელია. სასწავლებელში ჩარიცხებიან ბიჭები და ქალაშვილები, სურამის სოფლის-საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში უპირატესად ქალიშვილები არანაკლები თხუთმეტი წლის ასაკისა, რომლთაც დამთავრებული აქვთ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის 8 კლასი. სასწავლებელში ჩარიცხული ქალიშვილებისათვის დამატებით მოეწყობა სპორტული საქმის სწავლება, შეიქმნება საერთანადო საყოფაცხოვრებო პირობები და სამედიცინო მომსახურება. სასწავლებლის კურსდამთავრებულები მიიღებენ ატესტატებს პროფესიის მიხედვით თანრიგის მინიჭებისა და საშუალო განათლების მიღების შესახებ.

საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში სწავლა უფასოა. მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან კვებით, ტანსაცმლით, სპეციალურ-ლეთ.

სურამის № 14 სოფლის საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელში— კვებით, ტანსაცმლით, სპეციალურ-ლეთ, სტიპენდიითა და საცხოვრებელი ბინებით.

განცხადებები მიიღება 1969 წლის 25 აგვისტომდე, განცხადება შეტანილ უნდა იქნას სასწავლებლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით:

ატესტატი 8 კლასის დამთავრების შესახებ, დაბადების მოწმობა, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, სამი ცალი ფოტოსურათი ზომით 3×4 სმ, საწარმოს, სახელოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის ან სხვა ორგანიზაციის მომართვა სასწავლებელში მოვლინების შესახებ.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲘᲜᲝᲛᲐᲢᲝ�გᲠᲐᲤᲘᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲘᲜᲝᲛᲔᲥᲐᲜᲘᲙᲘᲡᲗᲐ ᲡᲙᲘᲚᲘ

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1969-70 სასწავლო წლისათვის

სასწავლებელში მიიღებიან არასრული და საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის მოქალაქენი 16 წლის ასაკიდან (სწავლა ქართულ და რუსულ ენებზე).

სკოლა ამზადებს მეორე თანრიგის კინომექანიკოსებს სახელმწიფო კინოფესტივალისათვის. სწავლის ვადა 10 თვეა. მოსწავლეს მიიღებენ 20 მანეთ სტიპენდიას თვეში.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სპეციალისტები განაწილებულ იქნებიან სამუშაოდ რესპუბლიკის კინოფესტივალში.

სასწავლებელში შემსვლელნი ვალდებულნი არიან შეიტანონ: განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი); 2. დაბადების მოწმობა (დედანი); 3. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან; 4. ფოტოსურათი 3×4 (6 ცალი); 5. პასპორტი და სამხედრო ბილეთი ან მიწერის ბარათი (**წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად**).

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲡᲛᲘᲜᲝᲗ

ᲠᲐᲓᲘᲝ

21 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

პირველი პროგრამით

06.05 — უკანასკნელი ცნობები, 06.35 — ქართული ხალხური სიმღერები, 07.30 — დილის კონცერტი, 08.30 — პოპულარული სიმფონიური მუსიკის კონცერტი, 09.15 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.35 — რადიოგაზეთი „საქართველოს პიონერი“, 11.05 — დ. არაყიშვილი. ნაწყვეტები ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“, 11.45 — სოლოვეიგ-სიდი. მუსიკა კინოფილმებიდან, 12.25 — ვებერი. კამერული ნაწარმოებები, 13.00 — უკანასკნელი ცნობები (მოსკოვი), 13.40 — ს. მარიანაშვილი. სიმღერები, 14.00 — მუსიკალური გადაცემა „სომხეთის რადიოს სიმფონიური ორკესტრი“ (მოსკოვი), 17.00 — უკანასკნელი ცნობები, 17.15 — ულრავს ანსამბლი ბალალაიკა“, 17.30 — მოსწავლეთათვის — მოთხრობები ლენინზე, 18.00 — საინფორმაციო რადიობიულეტენი „ამერკაკასიის რესპუბლიკები — ვ. ი. ლენინის იუბილეს შესახებ“, 18.10 — პოპულარული ქართული კამერული მუსიკა, 18.45 — — ბ. გორბულსკისი. სიუიტა „ოპერეტა „ტრფობის ყმიდან“, 19.00 — საუბარი „ვ. ი. ლენინი — ბოლშევიკური პრესის ორგანიზატორი და ხელმძღვანელი“, 19.20 — ს. ცინცაძე. ქართული რაფსოდია ვიოლინისა და ორკესტრისათვის, 19.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.30 — ციკლიდან „იდიდე მარად ჩემო სამშობლო!“. რადიოკომპოზიციებ. „ბოგდანოვკის რაიონი“, 21.00 — „კონცერტი ბოგდანოვკის რაიონის მშრომელთა თხოვნით, 21.25 — ზ. ფალიაშვილი ოპერა „ლაკადარა“ (მონტაჟი), 22.50 — მსუბუქი მუსიკა, 23.30 — შუბერტი. ფანტაზია ფორტეპიანოსათვის დო მაჟორი, 23.55 — უკანასკნელი ცნობები.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

11.00 — მხატვრული ფილმი „ქვრივი და კაპიტანი“, 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვეი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — ბავშვებისათვის — კონცერტი, 19.05 — კინონარკვეი, 19.15 — საქართველოს ფერადი ტელევიზიის პროგრამა „ფოლტა-პანორამა“, 20.15 — „წიგნების სამყაროში“, 20.45 — „მოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — ბალეტის საღამო, 21.40 — მხატვრული ფილმი „შუადღის ბორანი“.

ᲙᲘᲜᲝ

20 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ

ამირანი (საზამთრო); საქართველო (მწვანე დარბაზი), ისანი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კოლტურის სახლი (საზამთრო) — **ოფიცის ხანძრალი: ოთხთვალაზე;** ოქტომბერი — **ტაიგის მფლობელი;** სპარტაკი. ჩიკოვანის სახელობის კოლტურის სახლი — **გრძნობები;** კოლხიდა (საზამთრო) — **წყარო;** ამირანი (საზამთრო) — **ამაო ბედნიერება;** ფილარმონიის ბალი. ვაზისთხელი — **დაუვიწყარი;** საქართველო (წითელი დარბაზი) — **თავგადასავალთა მაძიებელნი;** თანამგზავრი — **ქალიშვილების მოტაცება;** საქართველო (საზამთრო) — **მოუხელთებელთა ახალი თავგადასავალი;** გორკის სახელობის კოლტურის სახლი (საზამთრო), პლეხანოვის სახელობის კოლტურის სახლი (საზამთრო) — **ნამის წვიმა;** 26 კომისრის სახელობის (პირველი დარბაზი) — **ომი ომია;** 26 კომისრის სახელობის (მეორე დარბაზი) — **თეთრი როიალი;** 26 კომისრის სახელობის (საზამთხოლო), კომკავშირელი. ნაკადული — **ხერენადა დიდი ხიუვარულისა;** გორკის სახელობის კოლტურის სახლი (საზამთხოლო) — **კაცი ანანადიდან;** კოლხიდა (საზამთხოლო) **პოემა ქვაში** (I, II სერია); ოფიცერთა სახლი — **ლასლო ამბრუშას საქმე;** სპორტი — **მილიონი წლის წინათ ჩვენს ერამდე;** ოაზისი (მეორე დარბაზი) — **კოლონია ლამბერი,** ეკრანი — **ეტიუდი ქალებზე,** კოლმეურნე — **ალბატროფა შავ მთაზე;** ვაკის პარკი — **ღიმილის ბიენები.**

რედაქტორი

დ. მჭედლიშვილი.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ | თბილისი. ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-98-03, 99-08-09, პ/შგ. მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-24, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 93-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, წერილების 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54, განცხადებების — 93-93-96.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

KOMUNISTI ИНДЕКС 68443 УЭ 04305

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.